№ 00000631

21/11/2024

ბრძანება №631

შპს "თეგეტა აკადემიაში" პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების, უფლების მოპოვების, აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2024 წლის 15 ივლისს დამტკიცებული ბრძანება **№578** და დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების დანართი №1 - ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს შპს თეგეტა აკადემიაში" პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების, უფლების მოპოვების, აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების წესი ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. დაევალოს საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების, უფლების მოპოვების, აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, მსმენელთა შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების პროცედურებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება N71/ნ-ით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **აკადემია** - შპს „თეგეტა აკადემია“
2. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;
3. **ინკლუზიური პროფესიული განათლება –** თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;
4. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი** – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას (ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან);
5. **ფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;
6. **ინსტრუქტორი** - საწარმოს/კომპანიის მიერ პროფესიული მსმენელების სწავლებისა და შეფასებისათვის გამოყოფილი შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირი;
7. **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;
8. **პროფესიული მომზადების პროგრამა** - პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად;

9. პროფესიული გადამზადების პროგრამა - პირისთვის კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად;
10. აპლიკანტი - პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს, პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია ამ დებულებით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
11. მსმენელი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;
12. სერტიფიკატის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება მსმენელის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;
13. საკონკურსო კომისია - კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს აპლიკანტთა შერჩევის პროცესი;
14. სასწავლო საწარმო – მეწარმე სუბიექტი/იურიდიული პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ჩართულია მსმენელთა სწავლების პროცესში;

თავი I.

მუხლი 1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების ინიციატორი შესაძლოა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი (აკადემია, დაწესებულების თანამშრომელი, სახელმწიფო უწყება, კერძო სექტორი ან/და სხვა);
2. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძვლები შესაძლოა იყოს:

ა) პროფესიის სტანდარტი;

ბ) პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) მოდული/მოდულები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08 ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან.) იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი.

3. პროგრამის შემუშავების საფუძველი ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული საფუძვლების გარდა შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

4. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება შესაბამისი ბაზრის კვლევის ან დამსაქმებლის მომართვიანობის საფუძველზე;

5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი;

6. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლოა გაერთიანდეს დარგის წარმომადგენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, მეწარმე სუბიექტი, ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი, რომელსაც აქვს პროგრამის მიმართულებით განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება ან/და სხვა პირი აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით.

7. აკადემია პროგრამას შეიმუშავებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის (პროგრამის ფორმა) შესაბამისად.

8. დაწესებულება ვალდებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს თითოეული პროგრამის შესაბამისი დაშვების წინაპირობები.

9. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

10.აკადემია მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას;

11. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას, პროფესიულ მომზადება/გადამზადების პროგრამას თან ერთვის მყარი დასაბუთება პროგრამის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის შესახებ.

12. პროგრამის დასაბუთების მიზნით აკადემია უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი გარემოება:

12.1. აკადემია აფართოებს სწავლების შესაძლებლობებს სხვადასხვა მიმართულებით;

12.2. არსებობს ბაზარზე მაღალი მოთხოვნა, რაც დასტურდება კვლევებით (როგორც აკადემიის მიერ მოკვლეული, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, მონაცემები, ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები);

12.3. დამსაქმებების/პარტნიორი ორგანიზაციების ინიციატივები;

12.4. სხვა გარემოებები, რომლებიც დასაბუთებადია პროგრამის შემუშავებისთვის.

13. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც აკადემიას ავტორიზაციის შედეგად არ აქვს მოპოვებული, პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ უფლების მოპოვების გზით დადგენილი წესის შესაბამისად;

14. აკადემია უფლებამოსილია, დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც ავტორიზაციის შედეგად აქვს მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში აკადემია ელექტრონულ განაცხადს აკეთებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

15. თუ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამასთან ერთად წარდგენილი იქნება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ მეწარმე სუბიექტთან ან სახელმწიფო ორგანოსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ, მათ შორის რესურსების გამოყენების შესახებ, არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად აკადემია თავად ფლობს შესაბამის რესურსს.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება:

1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი) არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისას და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გასაცემად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სტანდარტები ეხება:

ა) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას;

ბ) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს;

გ) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ადმინისტრირებას.

3. აკადემია პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, აკეთებს ელექტრონულ განაცხადს ელექტრონული სისტემის საშუალებით და ითვალისწინებს ყველა იმ პუნქტს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში.

4. განაცხადის წარდგენის შემდგომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განიხილავს აკადემიის მიერ წარდგენილი განაცხადს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და აწვდის გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაციას.

5. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში აკადემიას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება ენიჭება 3 წლის ვადით.

6. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა მტკიცდება აკადემიის დირექტორის მიერ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანა და გაუქმება

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი აკადემიის დირექტორის სახელზე წერილობითი სახით.
3. პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძლება იყოს:
- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები;
- პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და მასში განხორციელდა ცვლილება;
- დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნის ცვლილება;
- საკანონმდებლო ცვლილებები;
- ტექნიკური ხასიათის ცვლილება/ხარვეზის შესწორება;
- პროგრამის შეფასების კვლევის შედეგი;
- მასწავლებლის ცვლილება;
- პარტნიორი კომპანიის ცვლილება;
- სხვა გარემოებები.
4. თუ პროფესიული მომზადებისა ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას და პროფესიულ პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, აკადემიამ მსმენელთა ახალი მიღების

გამოცხადებამდე უნდა განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში არსებული გარემოებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
6. აკადემია უფლებამოსილია, მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე;
7. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლოა იყოს:
• პროფესიულ დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება;
• პროგრამის განხორციელებაზე მოპოვებული უფლების ვადის გასვლა;
• კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში შესაბამისი კვალიფიკაციის გაუქმება;
• პროგრამის არარენტაბელობა;
8. პროგრამის გაუქმების შესახებ გამოიცემა აკადემიის დირექტორის ბრძანება, ხოლო ინფორმაცია წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. დაწესებულების მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. დაწესებულების მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
• A-A/C-B/C სასწავლო გარემოში მსმენელის ადგილების რაოდენობა;
• B სასწავლო გარემოში მსმენელის ადგილების რაოდენობა;
• C სასწავლო გარემოში მსმენელის ადგილების რაოდენობა;
• პრაქტიკის ობიექტზე მისაღები მსმენელების ზღვრული რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში);
2. საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროგრამისა და მისი თავისებურების გათვალისწინებით;
3. საჭირო ადამიანური რესურსი;
4. საბიბლიოთეკო სივრცე/რესურსი;
5. მატერიალური რესურსი;
6. აკადემია უფლებამოსილია მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ერთი და იგივე გარემო გამოიყენოს სხვადასხვა პროგრამისთვის, რისთვისაც განისაზღვრება გარემოს დატვირთულობის სქემა.
7. გადაწყვეტილებას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განაცხადში.

მუხლი 5. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადება

1. აკადემია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციას აცხადებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
2. აკადემია ან/და საწარმო, რომელიც ჩართულია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში, სხვადასხვა გზებით ავრცელებს ინფორმაციას სწავლებისა და შესაბამისი პირობების თაობაზე და იძიებს აპლიკანტებს;
3. აკადემიის დირექტორის ბრძანებით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ცხადდება ღია ან დახურული წესით.
4. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება;
5. აპლიკანტს ან იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი სახის მონაცემები:

ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;

დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;

ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.

6. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება ელ. ფოსტის დადასტურებით/მობილურზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.
7. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/პროგრამებს.
8. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.
9. იმ შემთხვევაში როცა აპლიკანტი აკადემიას მიმართავს პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, აკადემია აპლიკანტის რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
10. ელექტრონული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისათვის მართვის სისტემა ამ წესით განსაზღვრული მიზნებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პერსონალური მონაცემები.
11. აპლიკანტი, რომელსაც აქვს დადასტურებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან მიიჩნევს, რომ მისი შეზღუდული შესაძლებლობები მას უქმნის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე, აკადემიას მიმართავს განცხადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით შეფასების თაობაზე და წარუდგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს ან თავისი შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (სამედიცინო დოკუმენტაცია, სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ.).

მუხლი 6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები

1. აკადემიის მიერ ორგანიზებულ მსმენელთა მიღების კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელიც რეგისტრირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სპეციალურ ვებგვერდზე ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს აკადემიას, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

2. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობას ღებულობს აპლიკანტი, რომელიც რეგისტრირებულია აკადემიაში შესაბამის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

3. აკადემია, პარტნიორი კომპანიის ჩართულობით, აპლიკანტების შერჩევის მიზნით ატარებს კონკურსს, რომლის შესახებაც ატყობინებს აპლიკანტს.

4. მსმენელთა შერჩევისთვის გამოიყენება შერჩევის სხვადასხვა მეთოდი:

- მოტივაციური გასაუბრება (დანართი N1);
- ტესტირება;
- პრაქტიკული მოსინჯვა;

5.აკადემია უფებამოსილია ერთობლივად გამოიყენოს შერჩევის ერთი ან რამდენიმე მეთოდი;

6.აპლიკანტთა შერჩევის ფორმატი, შეფასების კომისია და შეფასების ჩატარების თარიღი განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;

7. პრაქტიკული მოსინჯვის და ტესტირების შეფასების კრიტერიუმები თითოეული პროგრამისთვის იქმნება ინდივიდუალურად.

8. მოტივაციური გასაუბრება (ერთ პროგრამაზე რეგისტრირებულ) ყველა აპლიკანტთან ერთნაირი სქემით მიმდინარეობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება. შეფასება ხორციელდება შეფასების ფორმის გამოყენებით (დანართი N1).

9. მოტივაცური გასაუბრება ტარდება აკადემიაში, ან სხვა ალტერნატიულ ფართში, პარტნიორებთან შეთანხმებით;

10. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება ქულობრივი სისტემით, რომლის შესაბამისადაც დგება ჩასარიცხ აპლიკანტთა რეიტინგული სია.

11. დახურული რეგისტრაციის დროს სწავლის მსურველთა შერჩევას აწარმოებს ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების შესახებ.

12. დახურული რეგისტრაციის დროს დაინტერესებული ორგანიზაცია აკადემიას უგზავნის ინფორმაციას მის მიერ შერჩეული პირების შესახებ, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის და ვადების განსაზღვრის შესახებ, აღნიშნულ ვადებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხორციელდება აპლიკანტთა რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში და გამოიცემა დირექტორის ბრძანება მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ;

მუხლი 7. შერჩევის განსაკუთრებული წესები

1. სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტები/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმ პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, რომელზეც აკადემია აცხადებს სპეციალური საჭიროების მქონე მსმენელთა/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსმენელთა მიღებას, გაივლიან შერჩევის შესაბამის ეტაპებს;

2. სპეციალური საგანმანათლენლო საჭიროების მქონე აპლიკანტის რეგისტრაციისას აკადემია იღებს ვალდებულებას შერჩევის მეთოდების გამართული კოორდინირებისთვის მოიწვიოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. თუ აპლიკანტი წარმატებით გაივლის შერჩევის ეტაპს აკადემია აგრძელებს თანამშრომლობას ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან არანაკლებ პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდით.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დაწესებულება უზრუნველყოფს ადეკვატური კონკურსის გარემოს შექმნას, რომელიც პასუხობს პირის ინდივიდუალურ საჭიროებას;

4. განაცხადის შემოსვლისას ინკლუზიური განათლების სპეციალისტი შეისწავლის აპლიკანტის წარმოდგენილ დოკუმენტაციას (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა გასაუბრება აპლიკანტთან) არაუგვიანეს რეგისტრაციის დასრულებიდან ორი სამუშაო დღისა.

5. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი აკადემიის დირექტორსა და საკონკურსო კომისიას წარუდგენს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აპლიკანტის შესახებ ასევე, იმ აპლიკანტის შესახებ, რომელთა შესაძლებლობების გათვალისწინებითაც მიზანშეწონილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის რეკომენდაციით მათი ალტერნატიული ფორმით შეფასება;

6. აპლიკანტმა, რომელმაც განცხადებით მიმართა აკადემიას, თუმცა, არ დადგინდა მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, აღნიშნულის თაობაზე ეცნობება დაუყონებლივ და ის შერჩევას გაივლის საერთო წესით.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული წესით აპლიკანტთა შეფასებისას, აპლიკანტის პროგრამასთან თავსებადობის შემოწმების მიზნით შესაძლოა გამოყენებული იქნას შერჩევის რამდენიმე მეთოდი (ტესტირება, მოტივაციური გასაუბრება, პრაქტიკული მოსინჯვა ან/და სხვა).

მუხლი 8. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრი (წევრები).

კომისია დაკომპლექტდება:

ა) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისაგან/წარმომადგენლებისაგან;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლისაგან/წარმომადგნლებისაგან;

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული წესით აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაშია და ხმის უფლებით მონაწილეობს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი;

3. მოტივაციური გასაუბრებისას (დანართი №1)/პრაქტიკული მოსინჯვისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტებს წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

4. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების გამოვლენა, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვა საკონკურსო უპირატესობა;

5. კონკურსის შედეგები აისახება შესაბამის სხდომის ოქმში; იმ შემთხვევაში, თუკი სარეგისტრაციო სისტემაში შესაძლებელი იქნება აღნიშნულის ასახვა, ალტერნატიული ფორმით, კომისიის მუშაობის შედეგი აისახება პირდაპირ ელექტრონულ პლატფორმაზე, ციფრულ ფორმატში.

მუხლი 9. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა და აკადემიის უფლება-მოვალეობები

1. კომისიის მიერ აპლიკანტის შეფასების წესი, შეფასების კრიტერიუმები ეცნობება აპლიკანტს გასაუბრებამდე;
2. აკადემია ვალდებულია, შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ.
3. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შეფასებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა/პასპორტი).
4. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი აკადემიის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე არ დაიშვება.
5. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა) ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით, ერთხელ, გაიაროს შეფასება, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს შესაბამის მტკიცებულებას.
6. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს ერთი კვირის განმავლობაში. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

მუხლი 10. პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვება და სტატუსის შეწყვეტა

10.1 სტატუსის მოპოვება

10.1.1. მსმენელის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანებით (შემდგომში „მინისტრის ბრძანება“) დატკიცებული პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების, თეგეტა აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე და თითოეული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

10.1.2 რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან მსმენელის ჩარიცხვის შესახებ აკადემიის მიერ გამოცემული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

10.1.3 ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს პირადი განცხადება მსმენელის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, აკადემიის საქმისწარმოების წესით და პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები.

10.1.4 ამ მუხლის პირველი პუნქტის მესამე ქვეპუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ჩარიცხვის უფლების მქონე პირს აკადემიის დირექტორის ბრძანებით მიენიჭება მსემენელის სტატუსი და ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება.

10.1.5 აკადემია ინფორმაციას მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ, ელექტრონულ სისტემაში ასახავს შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.

10.1.6 ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, აკადემია უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში;

მუხლი 11. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს აპლიკანტის სტატუსის მინიჭებაზე შემდეგ შემთხვევებში:

- აპლიკანტი დადგენილ ვადაში დაწესებულებას არ წარუდგენს წინამდებარე წესით დადგენილ დოკუმენტაციას;
- ჩარიცხვის გადაწყვეტილების მიღებამდე აკადემიისათვის ცნობილი გახდება რომ აპლიკანტმა სარეგისტრაციო სისტემაში მიუთითა მცდარი ინფორმაცია;

მუხლი 12. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით;

ბ) პროგრამის დასრულება;

გ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მსმენელის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

დ) ყალბი დოკუმენტის წარმოდგენა, რის საფუძველზეც მოხდა მსმენელის სტატუსის მოპოვება;

ე) მსმენელის მიერ სასწავლო პროცესის 50%-ზე მეტის, არასაპატიო მიზეზით, გაცდენა;

ვ) შეფასებაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

ზ) წინასწარ შეთანხმებულ პერიოდში სწავლის საფასურის (არსებობის შემთხვევაში)

გადაუხდელობა;

თ) გარდაცვალება;

2.მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მას უწყდება მსმენელის სტატუსი და აისახება ელექტრონულ სისტემაში 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 13. სწავლის საფასური

1. პროფესიული მომზადება/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური თითოეული პროგრამისათვის განისაზღვრება დაწესებულების მიერ და მტკიცდება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;

2. მსმენელისთვის სწავლის საფასური შესაძლებელია დაფინანსებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. აკადემია აგრეთვე, უფლებამოსილია პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამა განახორციელოს დაინტერესებულ კომპანიასთან/საწარმოსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის დროსაც შესაძლებელია კურსის ღირებულება სრულად ან/და ნაწილობრივ აანაზღაუროს აღნიშნული პროგრამით დაინტერესებულმა კომპანიამ/საწარმომ;

4. თითოეული პროგრამის საფასური აისახება სარეგისტრაციო სისტემაში, რის საფუძველზეც აპლიკანტი რეგისტრაციამდე სრულად ინფორმირებულია შესაბამისი გადასახადის თაობაზე.

თავი II

მუხლი 14. აკადემიის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების პროგრამების განხორციელების წესი

1. აკადემია უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ აკადემიის მიერ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი (დანართით), რაც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების ფაქტს.

2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება რეგულირდება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით, ასევე „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით.

3. შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელებთან და განმახორციელებლებთან ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. აკადემიის მიერ სხვადასხვა პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება აკადემიის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 15. მსმენელთა ინფორმირების სისტემა

1. მსმენელი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსისგან, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორისგან, პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ტრენერისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროგრამის განმახორციელებლისგან;
2. მსმენელების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით;
3. მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ან/და სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი.
4. მსმენელთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიულ მასწავლებელთან ერთად, აცნობს მსმენელებს აკადემიის სერვისებს, ინფრასტრუქტურას-საინფორმაციო ტურის და პრეზენტაციის საშუალებით მსმენელები ეცნობიან აკადემიის ვებ-გვერდს, ფეისბუქ-გვერდს.
5. ვებ-გვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული მსმენელები ეცნობიან აკადემიის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, იმ პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს აკადემია მსურველებს, ასევე აკადემიაში მოქმედ სხვადასხვა სერვისებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტს, მათ უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს და მსმენელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობებს;
6. სასწავლო პროცესის დასაწყისში, მსმენელებს, აკადემიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს. პრაქტიკული მეცადინეობის დროს, სასწავლო სივრცეში, მსმენელებს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირი, აცნობს შრომის უსაფრთხოების წესს;
7. აკადემია ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მსმენელების ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით, აკადემია ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება აკადემიის მიზნებს.
8. ინიციატივების განხორციელებისთვის საინიციატივო ჯგუფი/ინიციატორი განცხადებით მიმართავს აკადემიის დირექტორს. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, აკადემიის დირექტორს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტაცია;
9. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ინიციატორს ეცნობება არგუმენტირებული უარი;
10. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ინიციატივის საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს.
11. განსახორციელებელი ღონისძიება დაანონსდება აკადემიის სოციალურ გვერდზე.
12. აკადემიის სივრცეში განლაგებულია „ანონიმური ყუთი“ სადაც მსმენელებს შეუძლიათ ანონიმურად გამოთქვან მოსაზრება, დააფიქსირონ დამოკიდებულება, იდეა, და ა.შ. ანონიმური ყუთი იხსნება თვეში ერთხელ და აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი განიხილავს წარმოდგენილ მოსაზრებებს, შემდგომი რეაგირების მიზნით;

მუხლი 16. მსმენელთა დასწრების აღრიცხვა და ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლება

1. მსმენელთა ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე გამოცხადება აღირიცხება ჟურნალში, რომლის შევსებაზეც პასუხისმგებელია პროფესიული მომზადება/გადამზადების განმახორციელებელი პირი (დანართი N2).
2. მსმენელი უფლებამოსილია მოითხოვოს სასწავლო პროცესიდან გათავისუფლება პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, სრული პროგრამის ხანგრძლივობის არაუმეტეს 5%-ის გავლის შემდეგ;
3. მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლება არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადით, პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რისთვისაც განცხადებით მიმართავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს/სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორს.
4. გადაწყვეტილება პროფესიული მსმენელის გათავისუფლების შესახებ ეცნობება პროფესიულ მსმენელს წერილობით ან ზეპირსიტყვიერად.

მუხლი 17. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შეფასება

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
2. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს თითოეული სწავლის შედეგის ბოლოს, რამდენიმე სწავლის შედეგის გაერთიანებული შეფასების პრინციპით ან პროგრამის დასრულებისას ყველა სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასებით;
3. შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში (შეფასების ინსტრუმენტის ფორმა იხ. დანართი N3);
4. პროგრამის შესაბამისად შეფასების ინსტრუმენტის ფორმა წინასწარ უნდა შეთანხმდეს ვალიდაციაზე პასუხისმგებელ პირთან (სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი/სასწავლო პროცესის კოორდინატორი);
5. იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში, რომლის გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოში/კომპანიებში) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების სწავლებასა და შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი, პრაქტიკული დავალების საშუალებით, რომელსაც ასახავს ინსტრუმენტში (დანართი N3).
6. შეფასების მტკიცებულება გამოკითხვა-ტესტის შემთხვევაში მსმენელის ნამუშევარი, წერილობითი დავალება. ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში - განმახორციელებლის მიერ შევსებული შეფასების ფურცელი (დანართი N 4).
7. შეფასების მტკიცებულება პრაქტიკული დავალების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება, პროგრამის განმახორციელებლის მიერ შევსებული პრაქტიკული დავალების შეფასების ფურცელი (დანართი N5).
8. მსმენელს შეფასების შედეგები ეცნობება იმავე ან მომდევნო დღეს.
9. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი საპატიო მიზეზით (მაგ.ჯანმრთელობის მდგომარეობა) ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით, ერთხელ, გაიაროს შეფასება, ამისთვის, შეფასების თარიღიდან გონივრულ ვადაში უნდა წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულება.
10. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება 5 სამუშაო დღის დღის ვადაში.
11. ცალკეული შედეგების დადასტურების შემთხვევაში პროგრამის მიმდინარეობისას, ხოლო ერთიანად დადასტურების შემთხვევაში პროგრამის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან/სასწავლო პროცესის კოორდინატორთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებით განმსაზღვრელი

შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

12. გასაჩივრების შემთხვევაში შეფასების გაცნობიდან მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის ვადაში მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის დირექტორს.
13. წერილობითი განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი განცხადება არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
14. დირექტორი საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განხილვის ან არ განხილვის თაობაზე.
15. დირექტორის დავალებით მსმენელის შეფასება დაევალება სხვა შემფასებელს, რომელიც ერთი დღის ვადაში ახდენს განმეორებით შეფასებას.
16. გასაჩივრების დაკმაყოფილების და მსმენელის შეფასების შემდეგ, შემფასებელი ვალდებულია შედეგი ასახოს შეფასების უწყისში.
17. შეფასების შედეგი მსმენელს ეცნობება იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.
18. აკადემია ვალდებულია შეინახოს შეფასების მტკიცებულებები სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.
19. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.

მუხლი 18. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან;
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში:
   ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის);
   ბ) შეზღუდული საჭიროების მქონე პირთა საჭიროების შემთხვევაში;
   გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო(წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე);
   დ) და სხვა დადასტურებულ შემთხვევაში;
5. სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება შემდეგნაირად:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი მიმართავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტს და სასწავლო პროცესის მართვის სამსხურის უფროსს/სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორს, სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით;

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის/ სასწავლო პროცესის კოორდინატორის კოორდინირებით, სწავლის შედეგის პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მსმენელი/მსმენელის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, რომელიც დასტურდება მისი ხელმოწერით;

გ) შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად;

დ) სსსმ პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება;

ე) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი უფლებამოსილი ხდება მიმართოს სწავლების განსხვავებულ მეთოდებს და სტრატეგიებს:

- გამოიყენოს მსმენელისთვის ეფექტური სწავლება-სწავლის მეთოდი;
- მსმენელისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
- შეცვალოს მსმენელისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
- შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება, საჭიროების დადგენიდან გონივრულ ვადაში და ძალაშია მსმენელის მიერ პროგრამის დასრულებამდე;

მუხლი 19. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის გაცემა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების კურსდამთავრებულზე გაიცემა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი შესაბამისი, ორენოვანი სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის შემთხვევაში, სწავლის შდეგების ვერ დაძლევის შემთხვევაში სერტიფიკატის ნაცვლად მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა ცნობა;
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი გაიცემა შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ, სადაც ხელს აწერს სერტიფიკატის გაცემაზე და მიღებაზე უფლებამოსილი პირები;
4. სერტიფიკატთან ერთად აკადემია უფლებამოსილია გასცეს სერტიფიკატის დანართი, სადაც მსმენელის მიერ განვლილი პროგრამის შინაარსია მოცემული;
5. მომზადება/გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის ფორმა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის ბრძანება №99/ნ;
6. სერტიფიკატის დაკარგვის ან/და გამოსაყენებლად უვარგისობის შემთხვევაში კურსდამთავრებულია ან/და კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე აკადემია გასცემს სერტიფიკატის დუბლიკატს.
7. დუბლიკატი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის ბრძანებით №99/ნ გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
8. დაწესებულება სერტიფიკატის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს სერტიფიკატის/დუბლიკატის ელექტრონული ასლსს, აგრეთვე, ასახავს შემდეგ მონაცემებს: სერტიფიკატის/დუბლიკატისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს შესაბამის ცვლილებას.

დანართი N1

პროფესიული მომზადება/ პროფესიული გადამზადების პროგრამა:

აპლიკანტის სახელი და გვარი:

შეფასების ფორმა

ინფორმაცია პროფესიის შესახებ	პროფესიული ცნობისმოყვარეობა	მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება	პროგრამაზე სწავლის მზაობა	კარიერული განვითარების გეგმები	ქულათა ჯამი*

კომისიის თავმჯდომარე: _____

კომისიის წევრები: _____

_____

თარიღი: --/--/---- წ.

*თითოეული კრიტერიუმისთვის განსაზღვრულია მინიმალური ქულა - 0, ხოლო მაქსიმალური - 4 ქულა.

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

დანართი N2

შპს „თეგეტა აკადემია“

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა

(პროგრამის სახელწოდება)

N	მსმენელი (სახელი გვარი)	პირადი ნომერი	ჩარიცხვის ბრძანების N	სტატუსის შეწყვეტის ბრძანების N
1				
2				
3				
4				

	თარიღი					
#	სახელი, გვარი					
1.						
2.						
3.						
4.						
პროგრამის განმახორციელებელი (ხელმოწერა)						

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

დანართი N3

შეთანხმებულია

ვალიდატორი*: _____

თარიღი: ----------

შეფასების ინსტრუმენტი:

პროფესიული მომზადება/ პროფესიული გადამზადების პროგრამა დონე	
დასადასტურებელი სწავლის შედეგი:	
შეფასების მიმართულება:	
შეფასების ინსტრუმენტი	
შეფასებისთვის განკუთვნილი დრო	
აღწერა	
შეფასების ინსტრუქცია და ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი	
დამატებითი პირობები	
შეფასების სქემა	
მტკიცებულება	
სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C)	
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო ტექნიკური ინვენტარი, მასალა, ნედლეული	
განმეორებითი შეფასების პირობები	
შრომის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეკომენდაციები	
პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი	

*ვალიდატორი შესაძლოა იყოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ან სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი ან/და დარგის წარმომადგენელი

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

დანართი N4

ზეპირი გამოკითხვის ფურცელი

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის სახელწოდება	
შემფასებელი პირის სახელი, გვარი	
შესაფასებელი პირის სახელი, გვარი	
შეფასების ჩატარების თარიღი	

N	ზეპირი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები	დადასტურდა	არ დადასტურდა

შეფასების შედეგი:

სწავლის შედეგი N ____ დადასტურდა ☐ არ დადასტურდა ☐

სწავლის შედეგი N____ დადასტურდა ☐ არ დადასტურდა ☐

შემფასებელი პირი - _____ _____

სახელი,გვარი (ხელმოწერა)

შესაფასებელი პირი- _____ _____

სახელი,გვარი (ხელმოწერა)

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

დანართი N5

პრაქტიკული დავალების შეფასების ფურცელი

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის სახელწოდება	
შემფასებელი პირის სახელი, გვარი	
შესაფასებელი პირის სახელი, გვარი	
შეფასების ჩატარების თარიღი	

N	პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები	დადასტურდა	არ დადასტურდა

შეფასების შედეგი:

სწავლის შედეგი N ____ დადასტურდა ☐ არ დადასტურდა ☐

სწავლის შედეგი N____ დადასტურდა ☐ არ დადასტურდა ☐

შემფასებელი პირი - _____ _____

სახელი,გვარი (ხელმოწერა)

შესაფასებელი პირი- _____ _____

სახელი,გვარი (ხელმოწერა)